სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/431

ქ. თბილისი 27 დეკემბერი 2019

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის საბჭოს სხდომის 2019 წლის 19 დეკემბრის №8 ოქმიდან ამონაწერის და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის №01-05-02/-29 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“ და პროგრამის ხელმძღვანელები – პროფესორები: ქეთევან ჯიჯეიშვილი და გეორგ ლოჰმანი;
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

დადგენილებას თან ერთვის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**